განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მომზადების მიზეზია 2017 წელს მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომლის ფარგლებში, ცვლილება ხორციელდება საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოდ და უმაღლეს თანამდებობის პირად განისაზღვრება მერი ყველა მუნიციპალიტეტში. ამასთან, ხდება მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია, რაც გულისხმობს არსებული მუნიციპალიტეტების გაერთიანებას, რის შედეგადაც, შეიქმნება ახალი მუნიციპალიტეტები და ნაცვლად არსებული 12 თვითმმართველი ქალაქისა, დარჩება 5 თვითმმართველი ქალაქი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია, საქართველოს საარჩევნო კოდექსის საქართველოს კანონის საქართველოს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განსახორციელებელ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლებიდან ხორციელდება ტერმინების **„გამგეობა“** და **„გამგებელი“** ამოღება.

ამასთან, კანონპროექტის თანახმად, ახლებურად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა და ქალაქების შემთხვევაში აღნიშნული დაუკავშირდება ამომრჩეველთა რაოდენობას. კერძოდ, თვითმმართველი თემის შემადგენლობაში შემავალ ქალაქებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 4000-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 10000-ს, მაჟორიტარული წესით აირჩევა საკრებულოს 2 წევრი და მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრთა რაოდენობა გაიზრდება ქალაქებში ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად. ამ ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება საკრებულოს შემადგენლობაში თვიმმართველი თემის და ქალაქის წარმომადგენელთა რაოდენობის დაბალანსება, რაც მათი ინტერესების თანაბარი დაცვის მექანიზმს შექმნის. ამასთან, აღნიშნული ცვლილება საკრებულოს მუშაობას გახდის უფრო ეფექტიანს, ხოლო მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია არ გამოიწვევს ქალაქების ინეტერესთა დაზარალებას საკრებულოს შემადგენლობის ფორმირებისას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონისპროექტის თანახმად, განისაზღვრება ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელონ ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა 2017 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან.

ზ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ზ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ზ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები გრიგოლ ლილუაშვილი და მერაბ ქვარაია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები გრიგოლ ლილუაშვილი და მერაბ ქვარაია.